სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ოქტომბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/130

ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ,,ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 24 სექტემბრის N01-02/179 ბრძანების და სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათების (MES 5 25 0001170211, 18.09.2025 და MES 2 25 0001349427, 15.10.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის თანდართული წესი (**დანართი 1**).

2. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესი გავრცელდეს დადგენილების გამოცემის შემდეგ შესრულებულ და წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებზე.

3. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №110 დადგენილება.**

4. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის ბსუ-ს პერსონალისა და სტუდენტებისათვის გაცნობისა და ეფექტურად დანერგვის (იმპლემენტაციის) მიზნით განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები, სამეცნიერო კვლევების სამსახურის ორგანიზებით, ფაკულტეტების და ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მონაწილეობით და რექტორის მოადგილის სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით კოორდინირებით.

5. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ბსუ-ს გამომცემლობას, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არაშიძე**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის
№ 06-01/130 დადგენილების
დანართი 1

ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი

1. ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წინამდებარე წესი (შემდეგში „წესი“) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) **პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომში** (სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა: სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, სტატია, წიგნი, შრომები, კრებულები და სხვა), რომელთა გამოცემა უნდა მოხდეს ბსუ-ს გამომცემლობაში, ასევე **ბსუ-ს სტუდენტების მიერ შესასრულებელ სამეცნიერო ნაშრომებში** (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი და სადოქტორო ნაშრომი/დისერტაცია) **ან/და სტუდენტების და პერსონალის** მიერ მომზადებულ აკადემიურ ტექსტებში (სტრუქტურირებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ წერილობით ნაშრომს, რომლის მიზანია კონკრეტული თემის ან პრობლემის ანალიტიკური განხილვა და დასაბუთებული დასკვნების წარმოდგენა, სამეცნიერო ან საგანმანათლებლო კონტექსტში) ციტირებისათვის და ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს (შემდეგში „სტილი“).

2. ბსუ-ში სამეცნიერო ნაშრომების/აკადემიური ტექსტების გაფორმების სტილად ითვლება „APA“ (American Psychological Association/ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია) სტილი, წინამდებარე წესი (სახელმძღვანელო) მიჰყვება მე-7 განახლებულ გამოცემას. მასში მოყვანილია ციტირების გავრცელებული მაგალითები. APA სტილის გამოყენება მნიშვნელოვანია სტუდენტთა და აკადემიური და სამეცნიერო პირების ნაშრომებში საერთაშორისო აკადემიური სტანდარტების დაცვისათვის. **(შენიშვნა:** APA-ს სტილი დროთა განმავლობაში იცვლება და მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულმა პირებმა თვალყური ადევნონ მიმდინარე ცვლილებებს. სტილის ოფიციალურ მისამართებზე: American Psychological Association Publication Manual of the American Psychological Association. www.apastyle.org).

ბიბლიოგრაფიის ავტორთა ციტირების მაგალითები:

სტატია ჟურნალიდან

Edwards, A. A., Steacy, L. M., Siegelman, N., Rigobon, V. M., Kearns, D. M., Rueckl, J. G., & Compton, D. L. (2022). Unpacking the unique relationship between set for variability and word reading development: Examining word- and child-level predictors of performance. Journal of Educational Psychology, 114(6), 1242-1256. https://doi.org/10.1037/edu0000696

სტატია ონლაინ ჟურნალიდან

Thomson, J. (2022, 8 სექტემბერი). Massive, strange white structures appear on Utah's Great Salt Lake. Newsweek. https://www.newsweek.com/mysterious-mounds-great-salt-lake-utah-explained-mirabilite-1741151

სტატია ნაბეჭდი ჟურნალიდან

Nicholl, K. (2020, მაისი). A royal spark. Vanity Fair, 62(5), 56-65, 100.

სტატია ონლაინ გაზეთიდან
Bernstein, J. (2024, 3 ივნისი). The man who couldn't stop going to college. The New York Times. https://www.nytimes.com/2024/06/03/magazine/benjamin-bolger-college-harvard-yale.html

სტატია ნაბეჭდი გაზეთიდან
Reynolds, G. (2019, 9 აპრილი). Different strokes for athletic hearts. The New York Times, D4.

ბლოგპოსტი
Rutledge, P. (2024, 23 აპრილი). Are tweens too young for digital literacy? Dr. Pam: Living With Media. https:// www.pamelarutledge.com/are-tweens-too-young-for-digital-literacy/

წიგნი
Levenson, H., Jinich, S., Vaz, A., & Rousmaniere, T. (2025). Deliberate practice in emotionally focused couple therapy. American Psychological Association. https://doi.org/10.1037/0000436-000

თავი რედაქტირებული წიგნიდან
Zeleke, W. A., Hughes, T. L., & Drozda, N. (2020). Home-school collaboration to promote mind-body health. C. Maykel & M. A. Bray (ed.), Promoting mind-body health in schools: Interventions for mental health professionals (pp. 11-26). American Psychological Association. https://doi.org/10.1037/0000157-002

სტატია ონლაინ ლექსიკონიდან
American Psychological Association. (2018). Internet addiction. APA dictionary of psychology. https://dictionary.apa.org/internet-addiction

ანგარიში (ავტორი - ჯგუფი)
World Health Organization. (2014). Comprehensive implementation plan on maternal, infant and young child nutrition. https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/113048/WHO_NMH_NHD_14.1_eng.pdf?ua=1

ანგარიში (თანაავტორებით)
Winthrop, R., Ziegler, L., Handa, R., & Fakoya, F. (2019). How playful learning can help leapfrog progress in education. Center for Universal Education at Brookings. https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2019/04/how_playful_learning_can_help_leapfrog_progress_in_education.pdf

პრესრელიზი
American Psychological Association. (2024, 11 April). People who use willpower alone to achieve goals, resist temptation, deemed more trustworthy [Press release]. https://www.apa.org/news/press/releases/2024/04/people-who-use-willpower

კონფერენციის სესია
Davidson, R. J. (2019, August 8-11). Well-being is a skill [Conference session]. APA 2019 Convention, Chicago, IL, United States. https://irp-cdn.multiscreensite.com/a5ea5d51/files/uploaded/APA2019_Program_190708.pdf

დისერტაცია მონაცემთა ბაზიდან
Horvath-Plyman, M. (2018). Social media and the college student journey: An examination of how social media use impacts social capital and affects college choice, access, and transition (Publication No. 10937367) [Doctoral dissertation, New York University]. ProQuest Dissertations and Theses Global.

დასაბეჭდად მიღებული სტატია
Latimier, A., Peyre, H., & Ramus, F. (2020). A meta-analytic review of the benefit of spacing out retrieval practice episodes on retention. PsyArXiv. https://psyarxiv.com/kzy7u/

მონაცემთა ნაკრები
O'Donohue, W. (2017). Content analysis of undergraduate psychology textbooks (ICPSR 21600; version V1) [Data set] Inter-university Consortium for Political and Social Research. https://doi.org/10.3886/ICPSR36966.v1

ფილმი ან ვიდეო
Docter, P., & Del Carmen, R. (Directors). (2015). Inside out [[Film]. Walt Disney Pictures; Pixar Animation Studios.

სერიალის ეპიზოდი
Dippold, K. (Writer), & Trim, M. (Director). (2011, April 14). Fancy party (Season 3, Episode 9) [TV series episode]. In G. Daniels, H. Klein, D. Miner, & M. Schur (Executive Producers), *Parks and recreation*. Deedle-Dee Productions; Fremulon; 3 Arts Entertainment; Universal Media Studios.

ვებინარი
Lee, C., McAdoo, T., & Denneny, S. (2023). APA Style seventh edition refresher for instructors [Webinar]. American Psychological Association. https://apastyle.apa.org/instructional-aids/tutorials-webinars

ვიდეო იუტუბიდან
Above The Noise. (2017, October 18). Can procrastination be a good thing? [video]. YouTube. https://www.youtube.com/watch?v=FQMwmBNNOnQ

სიმღერა ან ჩანაწერი
Nirvana. (1991). Smells like teen spirit [Song]. On *Nevermind*. DGC.

რადიო გადაცემა
Hersher, R. (2020, March 19). Spring starts today all over America, which is weird [Radio broadcast]. NPR. https://www.npr.org/2020/03/19/817237429/spring-starts-today-all-over-america-which-is-weird

პოდკასტის ეპიზოდი

Santos, L. (Host). (n.d.) Psychopaths and superheroes (No. 1) [Audio podcast episode]. In The happiness lab with Dr. Laurie Santos. Pushkin Industries. https://www.happinesslab.fm/season-2-episodes/episode-1

ინფოგრაფიკა

American Psychological Association. (n.d.) Data sharing [Infographic]. https://www.apa.org/pubs/journals/data-sharing-infographic.pdf

PowerPoint პრეზენტაცია საუდიტორიო ვებსაიტიდან

Mack, R., & Spake, G. (2018). Citing open source images and formatting references for presentations [PowerPoint slides]. Canvas@FNU. https://fnu.onelogin.com/login

პოსტი X-ზე

Obama, B. [@BarackObama]. (2024, May17). Today marks 70 years since the Supreme Court handed down its landmark decision in Brown v. Board of Education, outlawing [Post]. X. https://x.com/BarackObama/status/1791540592238874953

ღია საგანმანათლებლო რესურსი

Fagan, J. (2024, February 7). *Nursing clinical brain*. OER Commons. Retrieved April 8, 2025, from https://www.oercommons.org/authoring/53029-nursing-clinical-brain/view

ვებგვერდი

Taras, Z. (2024, May 30). Situational irony can be funny, tragic or even terrifying. howstuffworks. https://entertainment.howstuffworks.com/arts/literature/situational-irony.htm

ახალი ამბების ვებგვერდი

Volpe, A. (2024, June 3). How the self-care industry made us so lonely. Vox. https://www.vox.com/even-better/350424/self-care-isolation-loneliness-epidemic

ვებგვერდი ჩამოტვირთვის თარიღით

Worldometer. (n.d.).[1] Current world population. Retrieved March 27, 2025, from https://www.worldometers.info/world-population

შიდატექსტური ციტირების ძირითადი პრინციპები:

APA სტილი იყენებს „ავტორი-თარიღის“ ციტირების სისტემას, რომელშიც ტექსტში მოყვანილი წყაროს მოკლე მითითებაა. ნაშრომის ძირითად ტექსტში, ცხრილში, სურათში, სქოლიოში ან დანართში სრული ნაშრომის დამოწმების შემთხვევაში მიუთითეთ მხოლოდ ავტორი და თარიღი: (მაგ.: ხალვაში, 2025), ან (ბერიძე, 2023), ბიბლიოგრაფიაში კი, მიუთითეთ ნაშრომის სრული დასახელება. პირველ შემთხვევაში მითითებულია მონოგრაფია, რომლის სათაური კურსივით *(დახრილი შრიფტი)* უნდა მიეთითოს:

მონოგრაფია:

[1] Worldometer. (n.d.). - სადაც n.d. აღნიშნავს, რომ თავად წყარო არ მიუთითებს თარიღს (no date).

ხალვაში, რ. (**2025).** *დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“* (ტექსტი, ინტერტექსტი, სტროფობრივი ანალიზი) ქართული წიგნი.

მეორე შემთხვევაში ციტირებულია ნაშრომი ჟურნალიდან; სათაურის მითითებისას კურსივი არ გამოიყენება:

ჟურნალის სტატია:

ბერიძე, თ. (**2023).** ბერტა ფონ ზუტნერის წერილები საქართველოს შესახებ გერმანულ პრესაში (1882-1885 წწ). ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, IV (2), 30-36.

შიდატექსტში სრული ნაშრომის ციტირებისას, თუ ავტორთა რაოდენობა ორზე მეტია, მიეთითება მხოლოდ პირველი ავტორის გვარი (ხახუტაიშვილი და სხვ. 2022); ინგლისურ ვერსიაში: (Khakhutaishvili et al, 2022).

ბიბლიოგრაფიაში:

Khakhutaishvili, N., Papuashvili, R., & Chkhatarashvili, G. (2022). Colchis–the Ancient Center of Iron Metallurgy. *Tyragetia. Serie nouă*, *31*(1), 171-178.

თუ ნაშრომის ძირითად ტექსტში, ცხრილში, სურათში, სქოლიოში ან დანართში. დამოწმებულია არაპირდაპირი ციტატა ავტორი და გამოცემის წელი, ან ავტორთა ჯგუფი და გამოცემის წელი; მაგ.:

ბოლოდროინდელი კვლევა გვიჩვენებს, რომ სასწავლო მასალის მრავალფეროვნებასა და კითხვის უნარის განვითარებას შორის უშუალო კავშირი არსებობს (Edwards et al., 2022).

ავტორისა და ნაშრომის სრული მითითება ბიბლიოგრაფიაში: ნაშრომის ბოლოს, ბიბლიოგრაფიაში მიუთითეთ ამავე წყაროს შესაბამისი სრული ჩანაწერი, მაგ.:

Edwards, A. A., Steacy, L. M., Siegelman, N., Rigobon, V. M., Kearns, D. M., Rueckl, J. G., & Compton, D. L. (**2022**). Unpacking the unique relationship between set for variability and word reading development: Examining word- and child-level predictors of performance.
Journal of Educational Psychology, 114(6), 1242-1256. https://doi.org/10.1037/edu0000696

ავტორის, გამოცემის წლისა და გვერდის ნომრის ერთდროულად მითითების წესი:

✓ შიდატექსტში სავალდებულოა **პირდაპირი ციტატის** გამოყენებისას ავტორის, გამოცემის წლისა და გვერდის ნომრის ერთდროულად მითითება. წყაროდან ავტორ(ებ)ის ტექსტი გადმოგაქვთ სიტყვასიტყვით, ცვლილებების გარეშე და სვამთ ბრჭყალებში („ “). ასეთ შემთხვევაში, ციტატის ბოლოს, ფრჩხილებში უნდა მიუთითოთ ავტორი, წელი და კონკრეტული გვერდი, საიდანაც ეს ციტატა აიღეთ.

მაგალითი:

კვლევის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „სიტყვების წაკითხვის უნარის განვითარების პროცესზე უშუალო გავლენას ახდენს ბავშვის მზაობა მრავალფეროვნებისადმი“ **(Edwards et al., 2022, p. 1245)**.

სავალდებულოა:

✓ ყოველი ციტირებული ნაშრომის მითითება ბიბლიოგრაფიაში;

✓ ბიბლიოგრაფიულ სიაში არსებული თითოეული ნაშრომი ციტირებული უნდა იყოს ტექსტში (ან ცხრილში, სურათში, სქოლიოში ან დანართში).

✓ ბიბლიოგრაფიაში მითითებას საჭიროებს როგორც პერიფრაზი, ისე პირდაპირი ციტატა.

✓ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ავტორის სახელების მართლწერა და გამოქვეყნების თარიღები უნდა ემთხვეოდეს შესაბამის ტექსტს ან /და ციტატას.

პუნქტუაციის წესები ბიბლიოგრაფიისათვის:

✓ გამოიყენეთ პუნქტუაციის ნიშნები: **მძიმე ან ფრჩხილი ერთი და იმავე საცნობარო ელემენტის ნაწილებს შორის**. მაგალითად, ჟურნალის სტატიის ბიბლიოგრაფიაში გამოიყენეთ მძიმე, თითოეული ავტორის გვარსა და ინიციალებს შორის და სხვადასხვა ავტორის სახელებს შორის, ჟურნალის დასახელებასა და ტომის ნომერს შორის და ჟურნალის გამოცემის ნომერსა და გვერდების ნომრებს შორის.

✓ თითოეული საცნობარო ელემენტის შემდეგ, ანუ ავტორის, თარიღის, სათაურის და წყაროს შემდეგ წერტილი უნდა დაისვას;

✓ არ დასვათ წერტილი DOI-ის ან URL-ის შემდეგ;

✓ თუ სათაური კითხვის ნიშნით მთავრდება, კითხვის ნიშანი წერტილს ცვლის;

✓ არ გამოიყენოთ მძიმე ჟურნალის ტომისა და გამოცემის ნომრებს შორის. ამის ნაცვლად, მოათავსეთ გამოცემის ნომერი ფრჩხილებში, უშუალოდ ტომის ნომრის შემდეგ.

✓ კურსივით გამოყავით პუნქტუაციის ნიშნები, რომლებიც კურსივით დაწერილ საცნობარო ელემენტში ჩნდება (მაგ., მძიმე ან ორწერტილი წიგნის სათაურში). არ გამოყოთ კურსივით პუნქტუაცია საცნობარო ელემენტებს შორის (მაგ., წერტილი კურსივით დაწერილი წიგნის სათაურის შემდეგ ან მძიმე კურსივით დაწერილი ჟურნალის სათაურის შემდეგ).

მაგალითად:

Smith, J. D., Johnson, M. A., & Williams, R. K. (2023). The effects of social media on adolescent mental health. *Journal of Psychology*, 45(3), 234-256.

მიაქციეთ ყურადღება:

- **Smith, J. D.** ← მძიმე გვარსა და ინიციალებს შორის;
- **Smith, J. D., Johnson, M. A., & Williams, R. K.** ← მძიმეები ავტორებს შორის;
- ***Journal of Psychology*, 45** ← მძიმე ჟურნალის დასახელებასა და ტომის ნომერს შორის;
- **45(3)** ← გამოცემის ნომერი ფრჩხილებში, არ გამოიყოფა მძიმით;
- **(3), 234-256** ← მძიმე გამოცემის ნომერსა და გვერდების ნომრებს შორის

ყურადღება: ჟურნალის დასახელება (*Journal of Psychology*) და მძიმე მის შემდეგ კურსივითაა, მაგრამ ტომის ნომერი (45) და დანარჩენი ელემენტები - აღარ.

APA-ს სანიმუშო ცხრილი ბიბლიოგრაფიაში ან/და შიდატექსტში წყაროს ციტირებისთვის:

ციტირებული ნაწილი	ნიმუში
გვერდი	(Stoddard et al., 2020, p. 47)
რამდენიმე გვერდი	(World Health Organization, 2019, pp. 202–205)
თავი ნაშრომიდან (მონოგრაფია და ა.შ.)	(Merenda, 2018, Chapter 14)
პარაგრაფი	(Liu et al., 2020, para. 3)
რამდენიმე პარაგრაფი	(Bassie & Meagher, 2020, paras. 4–5)
სქოლიო	(Garcia et al., 2020, Footnote 2)
ცხრილი	(National Institute of Mental Health, 2019, Table 3)
სურათი ან ნახაზი	(Lazer, 2020, Figure 4)
დროის ნიშნული აუდიოვიზუალურ ნაშრომში	(Patel & Gupta, 2019, 1:09:19)
თავი და ვერსიფიცირების ნომერი რელიგიურ ნაშრომში	(*The Torah*, 1962/2015, Exodus 1:1–6:1)
შინაარსის იდენტიფიკატორი (ID) ან გვერდის იდენტიფიკატორი (ID) აკადემიური კვლევის მონაცემთა ბაზიდან	(Svendsen & Løber, 2020, c373)

დამატებითი ინფორმაცია APA სტილის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის გამოცემის სახელმძღვანელოში (მე-7 გამოცემა) და APA სტილის მოკლე სახელმძღვანელოში (მე-7 გამოცემა).

ტრანსლიტერაციის წესებისათვის გთხოვთ იხელმძღვანელოთ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე არსებული უცხო ენებიდან ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესებით: https://enadep.gov.ge/index.php?m=125&lang=ka